ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 564

“ 4 ” ნოემბერი 2022 წ.

ქ. თბილისი

სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლისთვის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს ზურაბ ძამუნაშვილის სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლა“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე